პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 6 მაისი, 1942 წ. № 105 (6421). ფასი 15 კაპ.

მ. კალინინი

## „პრავდის" 30 წლისთავისათვის

„პრავდის" დამაარსებლები იყვნენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი და ამხანაგი სტალინი. საერთო რუსეთის პარტიული გაზეთის შექმნის წინაპირობებს წარმოადგენდა თანაგრძნობა და მატერიალური დახმარება მუშათა ფართო მასების, განსაკუთრებით პეტერბურგის პროლეტარიატის მხრივ.

„პრავდა" ჭეშმარიტად იყო რუსეთისა და, უწინარეს ყოვლისა, პიტერის მუშათა კლასის ღონისძიებათა შედეგი. უამღონისძიებოდ იგი ვერ იარსებებდა" (სტალინი).

„პრავდა" გამოსვლის პირველი დღეებიდანვე, ბუნებრივია, რუსეთის მუშათა კლასის მებრძოლი ორგანო გახდა.

„პრავდა" მსოფლიოში ერთადერთი გაზეთია, სხვა ასეთი გაზეთი არ არსებულა და არც ამჟამად არსებობს. ცხადია, მსოფლიოში მოიპოვება გაზეთების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებსაც დიდი სახსრები და კარგი ტექნიკა აქვთ. ამ გაზეთების შრიფტი უკეთესია. ნახატები ტექნიკური თვალსაზრისით შესრულებულია უზადოდ. ბევრი გაზეთის მოცულობა, ყოველ შემთხვევაში ომამდე, რამდენჯერმე აღემატებოდა „პრავდის" მოცულობას. ასეთ გაზეთებს თანამშრომელთა დიდი შემადგენლობა ჰყავთ, რომელთა შორის საკმაოდ ბევრი არიან ლიტერატურული მუშაკები და პუბლიცისტები, რომელთა სახელები ცნობილია. და მაინც არც ერთ გაზეთს არ გააჩნია ის, რაც მოეპოვება „პრავდას", რითაც იგი მახლობელი და ძვირფასია და ენათესავება ხალხის ფართო ფენებს.

„პრავდა" თავისი გამოჩენის პირველი დღეებიდანვე მასების გაზეთი იყო, არა გაზეთი მასებისათვის, არამედ მასების გაზეთი—მუშას, ღარიბ გლეხს, მოჯამაგირეს იგი თავის გაზეთად მიაჩნდათ. რატომ? ნაწილობრივ ფორმალურად იმიტომ, რომ ისინი მის შესანახავად თავიანთ გროშებს იღებდნენ. არსებითად კი იმიტომ, რომ იგი მათ ინტერესებს გამოხატავდა. მთელი თავისი არსებობის განმავლობაში „პრავდა", როგორც ბოლშევიკური პარტიის ორგანო, მუდამ მასებთან ერთად იბრძოდა ხალხის ძირითადი ინტერესებისათვის და მებრძოლ ძალთა ავანგარდში იყო.

„პრავდა" არასოდეს არ ფამილარობდა ხალხთან და არ ეგუებოდა ჩამორჩენილ განწყობილებათ. რა ძნელიც უნდა ყოფილიყო მომენტი, „პრავდა" მუდამ იცავდა მტკიცე პროლეტარულ რევოლუციურ ხაზს, რომელიც საბოლოო ანგარიშით მუდამ უმეტეს შედეგს აძლევდა მშრომელებს. ამით მან მოიპოვა ხალხის განსაკუთრებული ნდობა.

„პრავდა" არ ბეჭდავდა გამართობელ რომანებს, ფელეტონებს, სენსაციურ ცნობებს, მაგრამ მკითხველები მას მუდამ მეტი ჰყავდა, ვიდრე მისი ტირაჟი იყო. თამამად შეიძლება ითქვას: ახლა, „პრავდის" ტირაჟი რომ 4-5-ჯერ გადიდდეს, მაინც ტირაჟი ნაკლები იქნებოდა, ვიდრე იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც „პრავდის" მიღება სურთ. ჩვენს ქვეყანაში მომუშავე და მოაზროვნე თითოეულ ადამიანს სურს თავისი მუშაობა თავისი მოქმედება დაასაბუთოს, მათ პრინციპულ სისწორეში დარწმუნდეს და „პრავდის" ფურცლებზე ეძებს და პოულობს პასუხს, რომელიც საიმედოდ ასაბუთებს მისი მოქმედებისა და აზრების მოტივებსა და მიმართულებას. „პრავდისაკენ" მისწრაფვის ყოველივე ცოცხალი რამ ჩვენს ქვეყანაში, და ეს ბუნებრივია, ეს ასედაც უნდა იყოს.

„პრავდა" მუდამ უშუალოდ მონაწილეობს იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც ხალხის წინაშე დგანან. და თუ „პრავდა" უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს საბჭოთა ხალხში, სამაგიეროდ ხალხის გავლენაც, მისი გრძნობები და მისწრაფებანიც მუდამ ცხოველ გამოხმაურებას პოულობს „პრავდაში". აქ ხდება ურთიერთმოქმედება — „პრავდიდან" ხალხისაკენ და ხალხიდან „პრავდისაკენ". სხვაგვარად ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში შეუძლებელიც არის, რადგან „პრავდა", როგორც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, თითოეული პრაქტიკული საკითხის პრინციპულ მხარეს აშუქებს და ამასთანავე ერთად იგი, ასე ვთქვათ, თავს უყრის და უჩვენებს ხალხს მის ღონისძიებათა შედეგებს, უჩვენებს ხვალინდელი დღის პერსპექტივებს.

საპატიო ამოცანა და დიდია პასუხისმგებლობა „პრავდისა" ვერაგ მტერთან—გერმანელ ფაშიზმთან საბჭოთა ხალხის სასტიკი ბრძოლის ამ ისტორიულ მომენტში. ჩვენი ქვეყნის ადამიანთა მთელი ძალები სიმებივით უნდა დაიჭიმოს გამარჯვების მისაღწევად. და „პრავდა", როგორც ხალხის მქადაგებელი, მთელ ხალხთან თანხმიერობით მთელს ჩვენს ქვეყანაში დღითი-დღე მოუწოდებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, მტრისადმი სიძულვილისაკენ, იგი გვიჩვენებს და ავითარებს ხალხური ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს, ყოველ საბჭოთა ადამიანს, სადაც უნდა იყოს იგი ჩვენს თვალუწვდენ ტერიტორიაზე, აბამს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში, ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გაწევის საქმეში.

„პრავდა" არის უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომელიც აკავშირებს ფრონტს, მის სახელოვან მებრძოლებს ზურგთან, ყველა იმასთან, ვინც ფრონტისათვის მუშაობს, ვინც მთელი სულითა და გულით ფრონტთან ერთად არიან და ვინც, როგორც თავიანთი სამშობლოს მოქალაქენი და პატრიოტები, მუდამ მზად არიან ფრონტის მოწინავე ხაზზე იყვნენ.

„პრავდა" საბჭოთა ხალხის გაზეთია. სამამულო ომის დროს იგი ფრონტის მოწინავე გაზეთიც არის. „პრავდა" მებრძოლებთან ერთად ბრძოლის ყველა პერიპეტიას განიცდის, იგი ომის აქტიური მონაწილეა და „პრავდის" ნომრის გამოჩენა სანგრებში, ბრძოლის მოწინავე ხაზზე დღესასწაულია მებრძოლთათვის. „პრავდის" გამოჩენა პარტიზანულ რაზმში ამ რაზმის ძალის, შეუპოვრობისა და სამხედრო შემართების გადიდებას უდრის.

„პრავდა" ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოა, იმ პარტიისა, რომელიც ლენინ-სტალინის დროშით ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის სახელოვანი წარსული მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა საქმისათვის ბრძოლაში მუდამ აღგვაფრთოვანებდა და კვლავაც აღგვაფრთოვანებს დიდი საგმირო საქმეებისათვის.

სულითა და გულით ვუსურვებ „პრავდას" შემდეგშიც აკეთოს სსრ კავშირის ხალხთა დაცვის, განმტკიცებისა და აყვავების დიდებული საქმე.

## ყირიმის ფრონტის ორდენოსნები

**ქერჩი** (საქდესი). ყირიმის ფრონტის სარდლობამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, გერმანელ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მეომართა და მეთაურთა ჯგუფი დააჯილდოვა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. „წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან უმცროსი ლეიტენანტი დიმიტრი სარდიონის-ძე **ობოლაძე** და სერჟანტი ანტონ ჯანის-ძე **რაზვეხიძე**.

## ერთ დღეში შესრულებულია წლიური ნორმა

**ხაბაროვსკი**, 5 მაისი (საკდესი). წინასამაისო შეჯიბრების გაჩაღებული მუშაობის დღეებში გორკის სახელობის ქარხნის მეპრუდთარგე ზეინკალმა ამხ. აბრამიტოვმა გააკეთა მოწყობილობა, რომელმაც ხელი შეუწყო მას ხელის სამუშაო შეესრულებინა სარანდავი დაზგით. მან გამომუშავება 5 ათას პროცენტამდე გაადიდა.

გუშინ ამხ. აბრამიტოვმა ახალ უმაგალითო ნაყოფიერებას მიაღწია. ცვლის დავალებას მან გადააჭარბა 320-ჯერ. ერთ დღეს მან შეასრულა წლიური ნორმა.

## უკანასკნელი ცნობები

### ინგლისის პარლამენტის დამატებითი არჩევნები

**ლონდონი**, 5 მაისი (საკდესი). ამ დღეებში ინგლისის 2 საარჩევნო ოლქში—უოლესისა და რეგბისაში—შესდგა პარლამენტის დამატებითი არჩევნები. უოლესის ოლქში არჩეულ იქნა დამოუკიდებელი კანდიდატი რიქსი, რეგბის ოლქში—არჩეულია დამოუკიდებელი კანდიდატი, სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფკავშირის მდივანი ბრაუნი.

ბრაუნმა გაზეთ „დეილი მეილში" სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც სწერს, არჩევნებში მეორე ფრონტის გახსნის დროშით გამოვედით. ინგლისელმა ხალხმა, ნათქვამია სტატიაში, იცის: „ამ ომში გამარჯვების პირობას ის წარმოადგენს, რომ ვაიძულოთ ჰიტლერი იბრძოლოს ორ ფრონტზე და ის, რომ იერიში მივიტანოთ მასზე დასავლეთში მაშინ, როდესაც იგი რუსებს ეომება აღმოსავლეთში. ჩემი გამარჯვება მნიშვნელოვნად აიხსნება იმით, რომ მე მეორე ფრონტის დასაცავად გამოვედი".

### საბჭოთა სამხედრო ტყვეების გაქცევა გერმანიის ტყვეობიდან

**ნიუ-იორკი**, 5 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, 28 აპრილს 62 რუსი სამხედრო ტყვე გაიქცა გერმანელთა გემიდან, რომელიც ნორვეგიის წყლებში იმყოფებოდა, და მიაღწია შვეციის პროვინციას ვერმლანდს. სამხედრო ტყვეები ინტერნირებული არიან.

### ინგლისის ავიაცია თავს დაესხა გერმანიასა და ჩრდილო-საფრანგეთს

**ლონდონი**, 5 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის ავიაციამ იერიში მიიტანა ჰავრის დოკებზე. დღისით რამდენჯერმე დაესხნენ თავს ჩრდილო-საფრანგეთს.

4 მაისს, ღამით, ინგლისის ავიაციის დიდმა ძალებმა იერიში მიიტანეს სამხრეთ-გერმანიის ობიექტებზე, მათ შორის შტუტგარტზე. სანაპირო ავიაციის თვითმფრინავებმა დაბომბეს მოწინააღმდეგის გემები ჰოლანდიის სანაპიროსთან.

გერმანიის თვითმფრინავებმა 4 მაისს, ღამით, ძლიერი თავდასხმა მოაწყეს ინგლისის სამხრეთ სანაპიროს 2 რაიონზე, რასაც ერთგვარი ნგრევა მოჰყვა.

### ღერძის ქვეყნების სავაჭრო ფლოტის ზარალი ხმელთაშუა ზღვაში

**ლონდონი**, 5 მაისი (საკდესი). ოფიციალური ცნობების თანახმად, ღერძის ქვეყნების სავაჭრო ფლოტის ზარალი ხმელთაშუა ზღვაში მას შემდეგ, რაც იტალია ომში ჩაება, 1,25 მილიონ ტონას აღემატება. ამა წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და ავიაციამ ჩასძირეს მოწინააღმდეგის 147 ათასი ტონა საერთო წყალწყვის გემები. მთელი 1941 წლის განმავლობაში კი მტრის ჩაძირული გემების ტონაჟი 715 ათას ტონას შეადგენს.

### ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ შკოდის ქარხნებს

**ლონდონი**, 5 მაისი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 4 მაისს, ღამით, ინგლისის „სტირლინგის" ბომბდამშენები თავს დაესხნენ შკოდის ქარხნებს პლზენში.

## საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა „კოლმეურნეებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად **დაადგინეს:**

1. გადიდებულ იქნას ომის დროის განმავლობაში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი ყოველი შრომისუნარიანი კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალისათვის წელიწადში:

ა) 120 შრომადღემდე აბაშის, ბათუმის, ბორჩალოს, ვანის, გაგრის, გალის, გეგეჭკორის, გორის, გუდაუთის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზნაურის, ზუგდიდის, ყარაიის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ქობულეთის, ქუთაისის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ოჩამჩირის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, სოხუმის, თბილისის, თელავის, ხაშურის, ხობის, წალენჯიხის, წითელწყაროს, წულუკიძის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუსა და ფოთის რაიონებში;

ბ) 100 შრომადღემდე ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ჯავის, დუშეთის, ყაზბეგის, ქედის, ქვემო-სვანეთის, ზემო-სვანეთის, ლენინგორის, საჩხერის, სტალინირის, ონის, ორჯონიკიძის, თიანეთის, ტყიბულის, თეთრიწყაროს, ცაგერის, წალკის, ხულოსა და ქიათურის რაიონებში.

2. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყველა პერიოდში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება—ნიადაგის დამუშავება, თესვა, ნათესების მოვლა, თიბვა, მოსავლის აღება, აგრეთვე პირუტყვის მოვლა,—დაწესდეს, რომ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმიდან თითოეულმა კოლმეურნემ და კოლმეურნე ქალმა უნდა გამოიმუშაოს:

ა) აბაშის, ბორჩალოს, ვანის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის ზნაურის, ქარელის, ყარაიის, კასპის, ყვარლის, ლუქსემბურგის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, თბილისის, თელავის, ხაშურის, წითელწყაროს, ჩხარისა და ფოთის რაიონების კოლმეურნეობებში — 15 ივნისამდე არანაკლებ 30 შრომა დღისა, 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე — 30 შრომადღე, 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე — 40 შრომადღე, ხოლო დანარჩენი შრომადღეები შეიძლება გამომუშავებულ იქნას 15 ოქტომბრის შემდეგ;

ბ) მახარაძის, ლანჩხუთის, ქობულეთის, ბათუმის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, წულუკიძის, ოჩამჩირის, გალის, სოხუმის, გუდაუთის, ქუთაისის, სამტრედიის, წყალტუბოს და გაგრის რაიონების კოლმეურნეობებში—15 ივნისამდე არანაკლებ 35 შრომადღისა, 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე—36 შრომადღე, 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე—32 შრომადღე, ხოლო დანარჩენი შრომადღეები შეიძლება გამომუშავებულ იქნას 15 ოქტომბრის შემდეგ;

გ) ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ჯავის, დუშეთის, ზემო-სვანეთის, ყაზბეგის, ქედის, ქვემო-სვანეთის, ლენინგორის, სტალინირის, საჩხერის, ონის, ორჯონიკიძის, თიანეთის, თეთრიწყაროს, ტყიბულის, ცაგერის, წალკის, ხულოსა და ქიათურის რაიონების კოლმეურნეობებში 1 ივნისამდე არანაკლებ 25 შრომადღისა, 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე—30 შრომადღე, 1 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე—28 შრომადღე, ხოლო დანარჩენი შრომადღეები შეიძლება გამომუშავებულ იქნას 1 ოქტომბრის შემდეგ.

3. დაწესდეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი წელიწადში კოლმეურნეთა ოჯახების მოზარდ წევრთათვის 12-დან 16 წლის ასაკამდე წელიწადში არანაკლებ 50 შრომადღისა და წინადადება მიეცეს კოლმეურნეობათა გამგეობებს დაუყოვნებლივ მისცენ მოზარდებს შრომის წიგნაკები და ცალკე აღრიცხონ მოზარდთა მიერ გამომუშავებული შრომადღეები.

4. დაევალოს ყველა რაიაღმასკომს და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს:

ა) ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად, შრომისუნარიანი კოლმეურნეები, რომლებიც ვერ გამოიმუშავებენ საპატიო მიზეზების უქონლად შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით, მიცემული იქნებიან სამართალში და სახალხო სასამართლოს განაჩენით დაისჯებიან შრომა-გასწორების სამუშაოებით კოლმეურნეობაში 6 თვემდე და შრომადღეების საზღაურიდან გამოექვითებათ 25 პროცენტამდე კოლმეურნეობის სასარგებლოდ;

ბ) განუმარტონ თითოეულ კოლმეურნესა და კოლმეურნე ქალს, რომ შრომისუნარიანი კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, რომლებიც წლის განმავლობაში ვერ გამოიმუშავებენ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს, ჩაითვლებიან კოლმეურნეობიდან გასულებად, კოლმეურნის უფლებას მოკლებულებად და ჩამოერთმევათ საკარმიდამო ნაკვეთი;

გ) განუმარტონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, რომ კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები და ბრიგადირები იმ შრომისუნარიან კოლმეურნეთა სამართალში მიცემის თავის არიდებისათვის, რომელნიც ვერ გამოიმუშავებენ შრომადღეების მინიმუმს, მიცემული იქნებიან სასამართლო პასუხისგებაში.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, ყველა რაიაღმასკომს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) ჩაატარონ კოლმეურნეობებში სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და უზრუნველჰყონ უკლებლივ ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნისა, კოლმეურნე ქალისა და მათ შორის კოლმეურნეთა ოჯახების 12-16 წლის ასაკის მოზარდ წევრთა მაქსიმალური მონაწილეობა საკოლმეურნეო მუშაობაში;

ბ) უზრუნველჰყონ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების ზუსტი აღრიცხვა და თავის დროზე ჩაწერა შრომის წიგნაკებში და ყოველთვიურად შეამოწმონ საკოლმეურნეო სამუშაოებში კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა მონაწილეობის ხარისხი;

გ) თვალყური ადევნონ სასამართლო ორგანოების მიერ იმ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა საქმეების დროზე განხილვას, რომელნიც საპატიო მიზეზების უქონლად ვერ გამოიმუშავებენ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით;

დ) ყოველთვიურად განიხილონ რაიკომებისა და რაიაღმასკომების სხდომებზე, თუ როგორ სრულდება კოლმეურნეობებში „კოლმეურნეებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

## 1 მაისს სევასტოპოლის დამცველებთან

**ყირიმი**, 4 მაისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სევასტოპოლი სადღესასწაულოდ არის მორთული ბაირაღებითა და სამაისო ლოზუნგებით. ზღვისპირა ბულვარში გამოფენილია სევასტოპოლის მამაც დამცველთა პორტრეტები. საწარმოებში სდუღს სტახანოვური მუშაობა. ქუჩებში მტრის ყუმბარები სკდება, გმირი ქალაქი ფრონტის ცხოვრებით ცხოვრობს.

შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზის მამაცმა დამცველებმა 1 მაისი და სევასტოპოლის თავდაცვის ნახევარი წლისთავი გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ახალი დარტყმებით აღნიშნეს. წინასამაისო დღეებში სევასტოპოლელებმა ასობით ფაშისტი დახოცეს, არტილერიის ცეცხლით დაანგრიეს მტრის რამდენიმე მიწური საცეცხლე წერტი და საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარეები.

ერთი დღის განმავლობაში — 1 მაისს — სნაიპერებმა 102 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. მამაცი შავზღვეელი მფრინავები მტრის თვითმფრინავებს მის აეროდრომებზე ბომბავდნენ. ჩვენმა მეზენიტეებმა ქალაქის თავზე ფაშისტთა ერთი ბომბდამშენი ჩამოაგდეს.

საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლთა ჯგუფი გაბედულად დაესხა თავს მტრის პოზიციებს. 8 შავზღვეელი ზედ მიადგა გერმანელთა სანგრებსა და ბლინდაჟებს. გუშაგები შეეცადნენ ცეცხლი დაეშინათ, მაგრამ ჩვენმა მეავტომატეებმა დაასწრეს მტერს. ჩვენმა მებრძოლებმა გრანატებით დახოცეს მტრის რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და ოფიცერი. მეზღვაურებმა ხელთ იგდეს ძვირფასი დოკუმენტები და ორი ტყვე და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. ამ საბრძოლო საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი შავზღვეელებმა — პრიხოდკომ, ერშოვმა, ფედორენკომ და ბაევმა.

იმ დროს, როდესაც ისინი მტრის ბლინდაჟებს ანადგურებდნენ, სხვა ჯგუფი შეიჭრა გერმანელთა მიერ დაკავებულ ხუტორში. წითელფლოტელებმა — დოდონოვმა, დემინმა, რაზინმა და შულჟენკომ უმცროს ლეიტენანტ მინაბუტდინოვის მეთაურობით ერთ-ერთი შენობის სახურავზე დაამაგრეს წითელი ბაირაღი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს გერმანულ ენაზე: „მშვიდობით, მოსკოვო, სიკვდილი ჰიტლერს". როგორც ცნობილია, ეს წარწერა პაროლს წარმოადგენს წითელი არმიის მხარეზე გადმოსასვლელად. ეს ბაირაღი მტრის ზურგში ფრიალებს. მას ჩვენი სნაიპერები იცავენ.

ბლინდაჟებში, სანგრებში, ანგარებში, ხომალდებზე და ბატარიებზე სევასტოპოლის მამაცი დამცველნი გატაცებით კვლავ და კვლავ კითხულობენ თავდაცვის სახალხო კომისრის — ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებას.

მ. ტუროვსკი.

## გერმანელები ვერ ახერხებენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას

**სამხრეთ - დასავლეთის ფრონტი**, 5 მაისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფრონტის ცალკეულ უბნებზე გერმანელებს ფართოდ გამოჰყავთ ბრძოლაში თავიანთი საგაზაფხულო რეზერვები. ისინი ცდილობენ დაიბრუნონ დაკარგული ინიციატივა, ბრძოლით დაიბრუნონ დაკარგული დასახლებული პუნქტები. თითოეულ ასეთ ცდას ყოველთვის სრული მარცხი მოსდევს.

გერმანელებმა ერთი დღის განმავლობაში 4-ჯერ მოიტანეს კონტრიერიში ჩვენს დასაკრდენ პუნქტზე. ბრძოლაში გამოიყვანეს 2 ბატალიონი და 6 ტანკი მეავტომატეთა დესანტით. გერმანელებმა პირვანდელ პოზიციებზე დაიხიეს, ამასთან ბრძოლის ველზე დასტოვეს 260 ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით და 6 დაზიანებული ტანკი.

დ. შჩუკინი

## ყველაფრისათვის პასუხს აგებენ!

**კალინინის ფრონტი**, 5 მაისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი მებრძოლნი ჰიტლერელთა საზარელი მხეცობის კვალს პოულობენ ფაშისტებისაგან განთავისუფლებულ დაბა-სოფლებში. ერთ სოფელში ჰიტლერელებმა დააპატიმრეს მოხუცი კოლმეურნე ბობროვი, რომლის ორი ვაჟი წითელ არმიაშია. მოხუცი მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა. ფაშისტმა მხეცებმა მას ხელი და ორივე ფეხი მოჰკვეთეს, შემდეგ კი გახურებული შანთით დაუწვეს თავი.

მომაკვდავმა ბობროვმა შესძლო უკანასკნელი წყევლა-კრულვა შეეთვალა ჯალათებისათვის.

— ჩემი ვაჟები გადაგიხდიან თქვენ სამაგიეროს!—სთქვა მან სიკვდილის წინ.

მეორე სოფელში ჰიტლერელებმა სახლებიდან გამორეკეს ყველა მცხოვრებნი და მოსახლეობის გაჟლეტას შეუდგნენ. დახვრიტეს 7 კაცი, მათ შორის 14 წლის ვალენტინა ბაშკიროვა. შემდეგ ჰიტლერელებმა სახრჩობელა დადგეს და რამდენიმე ქალი და ქალიშვილი ჩამოახრჩეს.

ე. კორიავიჩევი

## ქრონიკა

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. ა. **პეჭშევი** გაათავისუფლა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. დ. ა. **ლაზარევი** გაათავისუფლა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. ს. **ხოხლოვის** არყოფნის დროისათვის რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება დააკისრა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. კ. დ. პამფილოვს.

## ქალინინის ფრონტის პარტიზანთა ღია წერილი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

1 მაისამდე, იმ დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ჩვეულებრივ აღნიშნავს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე სასიხარულო დღეს წელიწადში, ჩვენ გადავწყვიტეთ ეს წერილი მოგწეროთ თქვენ, საბჭოთა ხალხის დიდ მხედართმთავარს გადავწყვიტეთ გაგიზიაროთ ჩვენი ფიქრები და აზრები, გიამბოთ, თუ როგორ ცხოვრობენ და როგორ დაუღალავად იბრძვიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ღრმა ზურგში საბჭოთა ადამიანები, რომლებიც შურს იძიებენ პირსისხლიან ქოფაკებზე საბჭოთა მიწა-წყლის წაბილწვისათვის, ქალაქების დანგრევისათვის, სოფლების გადაწვისათვის, ჩვენი სახლების გაძარცვისათვის, ქალების შერცხვენისათვის, ბავშვების დახოცვისათვის.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ერთი წლის წინათ რჟევის, ნეველის, ველიკიე ლუკის და სხვა ჩვენი ქალაქების მოედნებზე, ჩვენი კოლმეურნეობების დოვლათითა და სიუხვით აღსავსე ქუჩებში მივდიოდით საპირველმაისო დემონსტრაციების რიგებში, ბედნიერნი და მოპოვებულ გამარჯვებათა შეგნებით ამაყნი. ახლა, მას შემდეგ, რაც ჩვენს მშობლიურ ადგილებში ჰიტლერის პირსისხლიანმა ურდოებმა გაიარეს, ეს ადგილები მკვდარ უდაბნოდ გადაიქცა. იქ, სადაც ლამაზი, კეთილმოწყობილი ქუჩები იყო გაჭიმული, ახლა ცარიელი სახლების ნანგრევებს ყვავ-ყორნები დასჩხავიან. იქ, სადაც აყვავებული კოლმეურნეობები იყო, ახლა მუგუზლებისა და ნახშირის გროვების ირგვლივ მშიერი ძაღლები დაძრწიან. ფაშისტი მხეცი გააფთრებით ცდილობდა მოესპო ყოველივე ის, რასაც ჩვენ ასეთი შრომით, ასეთი სიხარულითა და სიყვარულით ვაშენებდით, ვქმნიდით და ვუვლიდით.

ჩვენ, პარტიზანები,—ცოცხალი მოწმენი და საკუთარი თვალით მნახველი ვართ ჰიტლერელ მტარვალთა მიერ ჩადენილი საშინელი მხეცობისა, რომლის მარტო წარმოდგენით ძარღვებში სისხლი იყინება და ხელი თავისთავად იარაღისაკენ მიიწევს. ქალაქ რჟევში პედაგოგიური ტექნიკუმის შენობის წინ, სადაც ახლა მოთავსებულია გესტაპო, ჩვენ ვნახეთ ტელეგრაფის ბოძებზე ჩამოკიდებული 9 ქალი. ერთ-ერთი მათგანი ჩვენ ვიცანით. ეს იყო კალაპოტების ფაბრიკის მუშა ქალი ზინაიდა მიხერევა. იმ ბოძის მახლობლად, რომელზედაც იგი იყო ჩამოკიდებული, ორი ბავშვის გვამი ეგდო: ერთი იყო ცხრა წლის გოგონა და მეორე—ოთხი წლის ბიჭი. ესენი მიხერევას შვილები იყვნენ. გერმანელმა გუშაგმა ეს ბავშვები ტყვიით მოკლა, როდესაც ისინი მკვდარ დედასთან მივიდნენ. ველიკიე ლუკის ყოფილ სასტუმროს შენობის სარდაფში ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ 14 მკვდარი ქალიშვილი და ახალგაზრდა ქალი. გერმანელმა ჯარისკაცებმა ისინი ქუჩებში დაიჭირეს და ოფიცერთა ორგიაზე ძალით მიიყვანეს. მათ ხელები შეუკრეს და კოლექტიურად გააუპატიურეს. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ქალიშვილმა გერმანელ კაპიტანს სახეში შეაფურთხა, ოფიცრებმა თავისი მსხვერპლნი სასტუმროს ეზოში გამოიყვანეს, რიგ-რიგობით დააყენეს ფარდულის კედელთან და ცოცხალ სანიშნოზე სროლაში ვარჯიშობდნენ. სტარიცის რაიონის სოფელ ანტროპოვის გარეუბანში ჩვენ ვნახეთ 11 დაჭრილი წითელარმიელი, რომლებიც გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს. ფაშისტმა ჯალათებმა დაჭრილი ჯარისკაცები ღობის ბოძებზე მიაკრეს, იმ გზის ორივე მხარეს, რომლითაც ჩვენი ჯარის ნაწილები უტევდნენ. ხუთი კაცი ფაშისტებმა ცოცხლად დასწვეს. ექვსი კაცი სულერთიანად გაატიტვლეს და ყინვაში ცივ წყალს ასხამდნენ მანამდე, სანამ ისინი ყინულის სვეტებად არ გადაიქცნენ.

ქაღალდი არ გვეყოფა თუნდაც იმისათვის, რომ ჩამოვთვალოთ ყოველივე ის მხეცობა, რასაც ჰიტლერელები მათ მიერ დროებით დაკავებულ საბჭოთა რაიონებში სჩადიან. სიტყვები არა გვყოფნის, რომ სავსებით გადმოგცეთ ჩვენი სიძულვილი ჰიტლერელი ბანდიტებისა და ჯალათებისადმი. თავისი სისხლიანი თარეშით ისინი ცდილობენ შეგვაშინონ ჩვენ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა ადამიანები. მათ სურთ შიშით გვაიძულონ კისერზე დავიდგათ ფაშისტური უღელი. არამზადები! მათ არ ესმით, რომ რაც უფრო სასტიკად მძვინვარებენ ისინი, მით უფრო მეტად გაღვივდება მათს ზურგში წმინდა ხალხური შურისგების ცეცხლი.

ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ! აქედან, გერმანელთა ღრმა ზურგიდან, ჩვენ მოხარულნი ვართ გაცნობოთ, რომ დღითიდღე სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება პარტიზანული ომი, რომელსაც ჩვენ ვეწევით. როგორც გაზაფხულის მაცოცხლებელი წვიმის შემდეგ შემოდგომის ნათესი აჯეჯილდება ხოლმე, ისე იზრდებიან ახლა პარტიზანული რაზმები, იქმნება ახალ-ახალი პარტიზანული მებრძოლი ერთეულები. გასული წლის ოქტომბერში სამოქალაქო ომის ძველმა პარტიზანმა, რომელსაც ახლა ჩვენ ყველანი ბატიას ვუწოდებთ, ჩვენს მხარეებში პატარა რაზმი მოაწყო. ეს ერთი მუჭა მამაცები იყვნენ. ახლა ამ ჯგუფისაგან წარმოიშვა ათობით რაზმები, რომლებშიც ასობით პარტიზანები იბრძვიან. როდესაც ბატია გერმანელთა წინააღმდეგ თავის პირველ გამოხდომებს ატარებდა, [illegible] გერმანული შაშხანა [illegible] ნებულად არის [illegible] ყველაფერი, მძიმე ნაღმსატყორცნებიც და პოლკის არტილერიის ბატარეაც კი. ყოველივე ეს ბრძოლებში მოვიპოვეთ, ყოველივე ეს გერმანელებს წავართვით. და ისეთი რაზმები, როგორც ბატიას რაზმია, ჩვენში უკვე ბევრია. თვიდან თვემდე ამ რაზმების რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს. ასობით საბჭოთა ადამიანი ემატება ჩვენს რაზმებს. ათიათასობით მუშა, კოლმეურნე, საბჭოთა ინტელიგენტი, რომლებიც პარტიზანთა რიგებში არ ირიცხებიან, გვეხმარებიან, რათა შევასრულოთ თქვენი დავალება: აუტანელი პირობები შევუქმნათ გერმანელებს მათ მიერ დაკავებულ რაიონებში.

და ახლა ჩვენ მარტო იმით კი არ ვკმაყოფილდებით, რომ ვანგრევთ გერმანელთა კომუნიკაციებს და დეზორგანიზაცია შეგვაქვს მტრის კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტში. ჩვენ ნამდვილ ბრძოლებს ვუმართავთ გერმანელებს მათს ღრმა ზურგში და მნიშვნელოვან ზარალს ვაყენებთ. ამას წინათ ამხ. დ-ს რაზმი ღამით თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს. ბრძოლაში მოსპო 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ააფეთქა საომარი მასალით დატვირთული 9 მანქანა, გაანადგურა 9 მიწური საცეცხლე წერტი და მოსპო 3 დიდი საბაზო საწყობი. აპრილის შუა რიცხვებში ამხ. მ-ს რაზმი [illegible] საათის განმავლობაში გააფთრებით იბრძოდა გერმანელთა ბატალიონს. ამ ბრძოლის შედეგად ეს ბატალიონი თითქმის სავსებით იქნა მოსპობილი და მხოლოდ რამდენიმე გერმანელმა უშველა თავს გაქცევით. ამხ. კ-სა და დ-ს რაზმებმა უეცარი იერიშით გაანადგურეს გერმანიის 591-ე ბატალიონი და ხელთ იგდეს დიდი დავლა. ახლა ჩვენი რაზმები სულ უფრო და უფრო ხშირად მოქმედებენ წითელი არმიის შემტევ ნაწილებთან შეთანხმებით და გერმანელთა ზურგისათვის ძლიერი დარტყმით ეხმარებიან წითელ არმიას შეტევის განვითარებაში.

პარტიზანებმა მოსახლეობასთან ერთად მთელი 3 რაიონი გასწმინდეს ფაშისტი დამპყრობლებისაგან. აქ, პარტიზანულ მხარეში, როგორც ჩვენ ამ ადგილებს ვეძახით, ჩვენს ქვეყანას ფრონტის ხაზით დაშორებული საბჭოთა ადამიანები ნამდვილი საბჭოთა ცხოვრებით ცხოვრობენ. ჩვენ ბრძოლებით ვაფართოებთ ამ რაიონის ტერიტორიას, ვეგებებით შეტევაზე გადმოსულ წითელ არმიას და ვაწვდით მას პროდუქტებს, რომლებსაც კოლმეურნეები ჩაბარების ანგარიშში იძლევიან.

ჩვენ, პარტიზანები, გერმანელების წინააღმდეგ ვეწევით ნამდვილ სასტიკ, სისხლისმღვრელ ბრძოლას, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, და ბრძოლებში იწრთობიან ჩვენი მეომრები, იჭედებიან რკინის ადამიანები, რომლებიც მზად არიან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლონ. ჩვენ წმინდად ვინახავთ ხსოვნაში ჩვენი პარტიზანი მზვერავი ქალის ლიზა ჩაიკინას სახელს. სიკვდილის წინ იგი სიყვარულით ახსენებდა სამშობლოს სახელს, ახსენებდა თქვენს სახელს. ჩვენ სიყვარულით მოვუთხრობთ ახალგაზრდა პარტიზანებს იმ უმაგალითო გმირობის ამბავს, რაც 80 წლის მოხუცმა კოლმეურნემ მათე კუზმინმა ჩაიდინა. კუზმინმა იმ ადგილას მიიყვანა გერმანიის ბატალიონი, სადაც ჩვენი მეტყვიამფრქვევეები იყვნენ ჩასაფრებულნი, და თვითონაც გმირულად დაიღუპა. მან ძვირად, გერმანელ დამპყრობთა 250 სიცოცხლედ გაჰყიდა თავისი სიცოცხლე. ასე იბრძვიან სამშობლოსათვის პარტიზანები.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! როდესაც ამ წერილს გწერთ, თქვენგან ჩვენ შორს ვიმყოფებით. თქვენგან ჩვენ გვაშორებს ფრონტის ხაზი და გერმანელთა მიერ დაკავებული მრავალი კილომეტრი ტერიტორია. მაგრამ ჩვენ თქვენთანა ვართ. ყოველი ჩვენგანი მზად არის შეასრულოს თქვენი ყველა საბრძოლო ბრძანება. ვიმყოფებით რა გერმანელთა ღრმა ზურგში, ჩვენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ დიად სამამულო ომში და ყოველი ჩვენგანი მზად არის მთელი თავისი ძალა მოახმაროს და, თუ საჭირო იქნება, თვით სიცოცხლეც შესწიროს გერმანელთა მიერ დაკავებული საბჭოთა რაიონების განთავისუფლებას ფაშისტური უღლისაგან. 1 მაისის დღის, როდესაც საბჭოთა ხალხი ფრონტზე სამხედრო საგმირო საქმიანობითა და ზურგში შრომითი გმირობით აღნიშნავს თავის დღესასწაულს, გერმანელთა ღრმა ზურგში ამ დღეს კიდევ უფრო ერთსულოვნად გაისმის პარტიზანთა შაშხანების ზალპები. აგრუხუნდება აფეთქებანი გზებზე. ჩაინგრევა ხიდები, ცეცხლი გაჩნდება გერმანელთა საწყობებს. ჩვენ გადავწყვიტეთ ასე ვიდღესასწაულოთ პირველი მაისი.

ჩვენ თქვენთანა ვართ, იოსებ ბესარიონის-ძევ! და ყოველი ჩვენგანი, ვინც ამ წერილს ხელი მოაწერა, თავისი მებრძოლი ამხანაგების სახელით სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენი პარტიზანული ხელი არ დაიღლება იმაში, რომ ურტყას მტერს და ანადგუროს იგი მანამდე, სანამ ჩვენი გული სძგერს, მანამდე, სანამ თუნდაც ერთი ფაშისტი ძაღლი დარჩება საბჭოთა მიწა-წყალზე.

გაერთიანებული პარტიზანული რაზმის მეთაური **ბატია**, პარტიზანული რაზმის მეთაური ამხ. ს., პარტიზანული რაზმის მეთაური ამხ. ლ., რაზმის მეთაური ამხ. ო., რაზმის მეთაური ამხ. ს., რაზმის მეთაური ამხ. ვ., რაზმის მეთაური ამხ. ა., რაზმის მეთაური ამხ. ვ., რაზმის მეთაური ამხ. პ., რაზმის მეთაური ამხ. ა., პარტიზანი — მემანქანე **ივანე მ.**, 35 წლისა, პარტიზანი — რკინიგზელი **ივანე ტ.**, რაზმის კომისარი ამხ. ტ., პარტიზანი — ლითმუშაკი **ივანე ჩ.**, პარტიზანი — მეტყვიამფრქვევე — ხარატი **მიხეილ ვ.**, პარტიზანი — მებრძოლი, შოფერი **პეტრე ე.**, პარტიზანი—მებრძოლი, ასოთამწყობი **დიმიტრი ო.**, პარტიზანი ქალი—მზვერავი, მხაზველი **ნადეჟდა ო.**, პარტიზანი—მზვერავი, ბებია ქალი **ელისაბედ ს.**, პარტიზანი—მებრძოლი **ნიკოლოზ ვ.**, პარტიზანი—დაზვერვის მეთაური, კოლმეურნე **ალექსი კ.**, პარტიზანი—მებრძოლი, მუშა **ტიხონ გ.**, პარტიზანი—მებრძოლი—მხერხავი **ვასილ კ.**, გაერთიანებული პარტიზანული რაზმის მეთაური ამხ. ზ., რაზმის მეთაური ამხ. შ., რაზმის მეთაური კომკავშირელი ამხ. პ., რაზმის მეთაური ამხ. ბ., რაზმის მეთაური ამხ. დ., რაზმის მეთაური **ნიკოლოზ მ.**, რაზმის მეთაური ამხ. დ., პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **ალექსანდრე პ.**, პარტიზანი—მზვერავი **ტიმოთე ნ.**, პარტიზანი—მსროლელი **ივანე პ.**, პარტიზანი—მსროლელი **ანტონ ზ.**, პარტიზანი—მსროლელი სნაიპერი **მიხეილ გ.**, პარტიზანი—მზვერავი **ვასილ ვ.**, რაზმის მეთაური **თედორე ს.**, რაზმის კომისარი **მიხეილ პ.**, პარტიზანი—მსროლელი **კუზმა კ.**, პარტიზანი—მსროლელი **ნიკოლოზ კ.**, პარტიზანი—სანიტარი, მედმუშაკი **ვასილ კ.**, პარტიზანი—მსროლელი **ნიკოლოზ ა.**, პარტიზანი—მსროლელი **დიმიტრი ვ.**, პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **ვასილ კ.**, პარტიზანი—მსროლელი **მიხეილ ტ.**, პარტიზანი—მებრძოლი **ალექსანდრე ს.**, პარტიზანი—მებრძოლი **ნიკიტა შ.**, პარტიზანი — მეტყვიამფრქვევე **გრიგოლ ბ.**, პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **სერგი დ.**, პარტიზანი—მსროლელი **მაქსიმე გ.**, პარტიზანი—საინსტრუქტორო **მიხეილ ვ.**, პარტიზანი—მსროლელი **პეტრე ე.**, პარტიზანი—მსროლელი **ალექსანდრე ა.**, პარტიზანი—მსროლელი, კოლმეურნე **ემელიან ო.**, პარტიზანი—მსროლელი **თედორე კ.**, პარტიზანი—მსროლელი **სიმონ მ.**, პარტიზანი—კოლმეურნე **ალექსანდრე ტ.**, პარტიზანი—მსროლელი, მზარეული **ვასილ ზ.**, პარტიზანი—მსროლელი **ვასილ ლ.**, პარტიზანი—მსროლელი **ივანე ს.**, პარტიზანი—მსროლელი, კოლმეურნე **მიტროფანე ბ.**, რაზმის მეთაური **ივანე ს.**, რაზმის კომისარი ამხ. გ., პარტიზანი ქალი—მზვერავი **ანასტასია მ.**, პარტიზანი—მსროლელი **პეტრე ფ.**, პარტიზანი—მსროლელი **ანდრია პ.**, პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **პავლე კ.**, პარტიზანი — მეტყვიამფრქვევე **ალექსანდრე პ.**, პარტიზანი—მზვერავი **ინოკენტი ს.**, რაზმის მეთაური ამხ. ა., პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **ამირ ი.**, პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **ივანე ე.**, პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **გრიგოლ ს.**, პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **ნიკოლოზ პ.**, რაზმის მეთაური **ნიკოლოზ ბ.**, პარტიზანი—მებრძოლი **პავლე ა.**, პარტიზანი—მეავტომატე **ალექსანდრე ვ.**, პარტიზანი—მეავტომატე **ინოკენტი მ.**, პარტიზანი—მსროლელი, კოლმეურნე **ბორის ზ.**, პარტიზანი—მსროლელი **პავლე მ.**, პარტიზანი—მეავტომატე **მიხეილ ს.**, — პარტიზანი — მეავტომატე — **დიმიტრი დ.**, პარტიზანი — მეავტომატე **გრიგოლ პ.**, რაზმის მეთაური **ანატოლი ხ.**, პარტიზანი — მსროლელი **გრიგოლ დ.**, რაზმის მეთაური **ალექსი ს.**, პარტიზანი — მსროლელი, მზარეული **ტიხონ კ.**, რაზმის კომისარი **ალექსი ი.**, პარტიზანი—მსროლელი **ივანე ზ.**, პარტიზანი—მებრძოლი **ნიკოლოზ შ.**, პარტიზანი — მსროლელი **სერგი ბ.**, პარტიზანი—მებრძოლი **ალექსანდრე ბ.**, რაზმის მეთაური—**ალექსანდრე ა.**, პარტიზანი—მეტყვიამფრქვევე **ალექსი ს.**, პარტიზანი—მებრძოლი **იაკობ რ.**, რაზმის კომისარი **ნიკოლოზ გ.**, პარტიზანი—მსროლელი **დიმიტრი ბ.**, პარტიზანი — მეტყვიამფრქვევე **ნიკოლოზ ა.**, პარტიზანი—მსროლელი **სტეფანე შ.** და შემდეგ არის კიდევ 715 ხელმოწერა. ცალკეული რაზმებიდან პარტიზანთა ხელმოწერის მიღება გრძელდება.

## ორჯონიკიძის რაიონმა შეასრულა თესვის გეგმა

ორჯონიკიძის რაიონმა საგაზაფხულო თესვის გეგმა ვადამდე და 100,6 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.250 ჰექტარისა დათესილია 9.303,4 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

გეგმის გადამეტებით საგაზაფხულო კულტურები ითესება 282 ჰექტარზე. აქედან თავდაცვისა და ფაშისტ დამპყრობლებისაგან დაზარალებული რაიონების კოლმეურნეთა დახმარების ფონდში 116 ჰექტარი.

ვაზის მყნობის გეგმა რაიონმა 100,4 პროცენტით შეასრულა, დამყნილია 1.544.000 ცალი ვაზი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.536.000 ძირისა.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი

**ს. საყვარელიძე.**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

**გ. ხიხაძე.**

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 5 მაისის დილის ცნობა

4 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ბატალიონი ცდილობდა დაეკავებინა თავდაცვითი ზღუდე. ჩვენმა მებრძოლებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოიგერიეს გერმანელთა იერიში და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის დიდძალი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი. ფრონტის სხვა უბანზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია 200-მდე ჰიტლერელი.

* * *

მფრინავი—უფროსი ლეიტენანტი ივანენკოვი, უმცროსი ლეიტენანტები გუკლენკო და სპიროვი ჩვენი სახმელეთო ჯარების საბრძოლო განლაგებას იფარავდნენ. მალე დაინახეს, რომ მათ გერმანელთა 17 თვითმფრინავი უახლოვდებოდა. ჩვენმა მფრინავებმა მზის მხარიდან მოუარეს და შეიჭრნენ მოწინააღმდეგის თვითმფრინავთა მწყობრში. საჰაერო ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულ იქნა 3 „იუნკერს-87" და ერთი „მესერშმიტ-109". ყველა ჩვენი მფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის აეროდრომზე.

* * *

ამხ. სუხარევის ქვემეხის გუნდმა, რომელიც მოწინააღმდეგის იერიშებს იგერიებდა, 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა და მტრის 2 ტანკი დააზიანა.

* * *

„წითელი არმიის XXIV წლისთავის" სახელობის პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზურგში მოქმედებს სმოლენსკის ოლქის ტერიტორიაზე, 1-ლ მაისს იერიში მიიტანა ორი დასახლებული პუნქტის გერმანელთა გარნიზონებზე. პარტიზანებმა გაჟლიტეს 150 ჰიტლერელი და დაიკავეს დასახლებული პუნქტები. პარტიზანთა მეორე ჯგუფი 2 მაისს თავს დაესხა გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონს. ჰიტლერელებს დიდი ზარალი მოუვიდათ ცოცხალი ძალის მხრივ. პარტიზანებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: ერთი ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი, 4 ტყვიამფრქვევი, ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 150 შაშხანა, 15 ათასი ვაზნა, დიდძალი გრანატი, 2 რადიოსადგური და საწყობი სურსათიანად.

* * *

გერმანელთა 260-ე ქვეითი დივიზიის 460-ე პოლკის მე-12 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა თეოდორ იესენმა გვიამბო: „საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე აპრილში მოვხვდი. მარშიდან პირდაპირ მოწინავე ხაზზე გაგვგზავნეს. რუსების არტილერია ისე ძლიერ ავიშენდა, რომ ჩვენ უწესრიგოდ გავიქეც-გამოვიქეცით. მოკლულნი და დაჭრილნი პირდაპირ ყოველ ნაბიჯზე ეყარნენ. ყოველი მხრიდან ყვირილი და კვნესა ისმოდა. ყოველივე ეს მეტად საშინელი რამ იყო. როდესაც ცოტა გონს მოვედი და ტყვიამფრქვევთან მივცოცდი, მთელი გუნდიდან, რომელიც 7 კაცისაგან შედგებოდა, მხოლოდ ერთი მსროლელი დამხვდა ცოცხალი და ისიც მალე მძიმედ დაიჭრა. მე ბლინდაჟში დავიმალე, სადაც უკვე იმყოფებოდა 5 ჯარისკაცი და ერთი სანიტარი. ერთი საათის შემდეგ ბლინდაჟში რუსი ჯარისკაცები შემოვიდნენ. ჩვენ ხელი ავწიეთ და ტყვედ დავნებდით. ახლა გვიხარია, რომ სიცოცხლე შევინარჩუნეთ".

* * *

როსტოვის ოლქის ხუტორ მიასნიკოვის მახლობლად ნაპოვნია წითელარმიელთა 6 გარუჯული გვამი. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვიამბეს, ჰიტლერელებმა ტყვედ ჩაიგდეს მძიმედ დაჭრილი მებრძოლები და ცეცხლწაკიდებულ ჩალის ზვინში ჩაჰყარეს.

* * *

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტაში, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, მოყვანილი იყო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ გერმანელები თავიანთ მონებად ხდიან დროებით ოკუპირებული რაიონების საბჭოთა მოქალაქეებს. გერმანელთა პროპაგანდამ თითქოს სცადა უარეყო ეს ბრალდება. მაგრამ გერმანიის საინფორმაციო ბიუროს გაიძვერებმა და სულელებმა თავი ბოლოს ვერ მოაბეს. გერმანელ ფაშისტთა გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" 1942 წლის 16 აპრილს ასწერს გერმანიაში ძალით წაყვანილი საბჭოთა მოქალაქეების მდგომარეობას და მთლიანად და სავსებით ადასტურებს გერმანიის მთავრობისადმი წაყენებულ ბრალდებებს.

„ოკუპირებული საბჭოთა ოლქების მუშები, —სწერს გაზეთი, — ეკლიანი მავთულით შემოღობილ ბანაკში იმყოფებიან. გერმანიაში ხარკოვის რაიონიდან ჩამოყვანილი ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, მკაცრ პირობებში უნდა გვყავდეს, თვალყური ვადევნოთ მათ, ვინაიდან არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ მათ შორის არ მოიპოვებიან ბოლშევიკები, რომელთაც შეუძლიათ საბოტაჟის აქტები ჩაიდინონ. მათი უახლოესი უფროსი, რომელიც არის თარჯიმანი და მათი შუამავალი... ნამდვილი რუსული მათრახით იცავს ავტორიტეტს".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ შავ მუშებად იყენებენ საბჭოთა მოქანდაკეებს, მხატვრებსა და ექიმებს. ყველა საბჭოთა ადამიანი მათი კვალიფიკაციის მიუხედავად, მათხოვრულ ხელფასს იღებს. რაც მთლიანად გადასახადთა გასტუმრებას ხმარდება. საბჭოთა მუშებს, კატორღელების მსგავსად, აზის დაღი—ასო „ო"—, რაც უნდა ნიშნავდეს: „აღმოსავლეთელ მუშას".

## 5 მაისის საღამოს ცნობა

5 მაისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

დაზუსტებული ცნობებით, 2 მაისს მოსპობილია გერმანელთა არა 25 თვითმფრინავი, როგორც წინათ ვიუწყებოდით, არამედ 31 თვითმფრინავი.

4 მაისს მოსპობილია გერმანელთა 12 თვითმფრინავი. ჩვენ 8 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

4 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს და დააზიანეს გერმანელთა 50 ავტომანქანა ჯარიანად და ტვირთიანად, 12 საზიდარი საომარი მასალა, 6 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, დაამსხვრიეს სარკინიგზო შემადგენლობა, ააფეთქეს მტრის 3 საწყობი საომარმასალიანად.

* * *

კალინინის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა 3 დღის საბრძოლო მოქმედების დროს გასწყვიტეს მოწინააღმდეგის 1.500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 3 თვითმფრინავი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხა, წინ წაიწია და მტკიცედ გამაგრდა დაკავებულ ზღუდეებზე. გერმანელები ცდილობდნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები, რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრიერიშზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ და ამასთან დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მტრის 5 ქვემეხი, 10 მოტოციკლი, 2 მსუბუქი ავტომანქანა, 10 საზიდარი, სალაშქრო სამზარეულო, 15 ათასი გრანატი, 2 რადიოსადგური და სხვა საომარი ქონება. ფრონტის სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფმა უეცარი დარტყმით გაარღვია მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდე, გაჟლიტა 200-მდე ჰიტლერელი და ხელთ იგდო 12 დაზგის ტყვიამფრქვევი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ნ. ნაწილის არტილერისტებმა წარმატებით დაუშინეს ცეცხლი მტრის პოზიციებს. დანგრეულია 4 მიწური საცეცხლე წერტი და აფეთქებულია საწყობი საომარმასალიანად.

* * *

ნ ქვეგანაყოფის სნაიპერი წითელარმიელები დიდ ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას. სნაიპერებმა ერთ კვირაში გასწყვიტეს 104 გერმანელი ჯარისკაცი. სნაიპერმა ხუდოსოვცევმა ამ ხნის განმავლობაში დახოცა 14 ჰიტლერელი, სნაიპერმა კადჩენკომ 10 და სნაიპერმა ტურცევმა—9 ჰიტლერელი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ იმ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც დროებით ოკუპირებულია გერმანელების მიერ, 6 თვის საბრძოლო მოქმედების დროს გაჟლიტა 900 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო 7 თვითმფრინავი, 12 ტანკი, 85 სატვირთო და 21 მსუბუქი ავტომანქანა, 49 მოტოციკლი და რამდენიმე საწყობი საწვავიანად და საომარმასალიანად. ამას წინათ რამდენიმე პარტიზანული რაზმი, ამხ. ტ-ს მეთაურობით, თავს დაესხა გერმანელთა საწყობებს. პარტიზანებმა გასწყვიტეს 37 ჰიტლერელი, რომლებიც საწყობებს იცავდნენ, დასწვეს 12 ტონა ბენზინი, 2,5 ტონა ზეთი და ნავთი, 23 ყუთი იარაღიანად და სხვა საომარი საჭურველი.

* * *

გერმანიის 58-ე ქვეითი დივიზიის 154-ე ქვეითი პოლკის 1-ლი ბატალიონის ტყვე უნტერ-ოფიცერმა კარლ კრეზემ გვიამბო: „ბევრ ჯარისკაცს არა სურს ომის, მაგრამ არ იცის როგორ მიაღწიოს ომის დამთავრებას. დისციპლინა შესამჩნევად ეცემა. ჯარისკაცები ხშირად შეედავებიან ხოლმე ოფიცრებს და განწესებაში წასვლაზე უარს აცხადებენ. ამას წინათ ერთი ჯარისკაცი დახვრიტეს საგუშაგოს მიტოვების გამო".

* * *

გერმანელ ჯარისკაცს რალფ რუმინს აღმოაჩნდა სამშობლოში გაუგზავნელი წერილი. ამ წერილში იგი სწერს: „ყოველდღე რომელიმე ჩვენგანი საიქიოს მიდის. ამასთან ყოველთვის ფიქრობ: დღეს შენი ჯერი ხომ არ დადგება-მეთქი? ამას წინათ ჩვენ იძულებული ვიყავით სოფელი დაგვეტოვებინა. რუსები კვალდაკვალ მოგვდევდნენ და გვსროდნენ. მე ძლივს გამოვასწარი, მხოლოდ ტყეში გადავრჩი. სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე კვლავ განვიცადო ასეთი საშინელება... ასეულში 192 კაცი იყო, დარჩა 19. რისთვის ვიღუპებით აქ, რუსეთში? როდის დამთავრდება ეს წყეული ომი?".

* * *

ამ უკანასკნელ ხანს გერმანიაში მოახდინეს სამხედრო ქარხნების მუშათა მობილიზაცია. არმიაში გაწვეულთა უმრავლესობა ფრონტზე ისე გაგზავნეს, რომ წინასწარი სამხედრო მომზადება არ გაუვლიათ. ამ მობილიზაციის დროს ჰიტლერელთა მიერ გამოჩენილი სიჩქარე იმით აიხსნება, რომ ესაჭიროებათ შეავსონ გერმანიის ჯარის უდიდესი ზარალი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. საქმესთან გაცნობილი წრეები აღნიშნავენ, რომ მობილიზაციის ჩატარებისას ფაშისტი მმართველნი კიდევ ერთ მიზანს ისახავდნენ. გერმანიაში დაძაბული მდგომარეობის გამო, ჰიტლერელები მოწინავე პოზიციებზე პირველ რიგში გზავნიდნენ უკმაყოფილოებს, რომლებმაც რამე სთქვეს დანაშაულებრივი ომის წინააღმდეგ.

## ახალი გამარჯვებები საკოლმეურნეო მინდვრებზე

**ხაშური.** რაიონმა გადამეტებით შეასრულა შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა. შაქრის ჭარხალი დათესილია 1.480 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.464 ჰექტარისა.

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი
**ალ. ხუჯაძე.**

* * *

**თელავი.** მტს-ის ხარატმა გ. გემაზაშვილმა 29 აპრილს გამოჩარხა 150 ცალი ქანჩიკი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 30-სა. ამ დღეს ამხ. გემაზაშვილმა სამუშაო ნორმა 563 პროცენტით შეასრულა, ხოლო 1 მაისს გამოჩარხა 203 ცალი ქანჩიკი და გეგმა 677 პროცენტით შეასრულა.

თელავის მტს-ის პოლიტგანყოფილების
უფროსი **ლუარსაბოვი.**

* * *

**გალი.** მტს-მა საგაზაფხულო ხვნის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნულია 1.034 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 ჰექტარისა.

გალის მტს-ის დირექტორი **კეშელავა.**
პოლიტგანყოფილების უფროსი **პანტია.**

* * *

**დუშეთი** მტს-მა 1 მაისისათვის საგაზაფხულო სატრაქტორო სამუშაოების გეგმა მთლიანად შეასრულა. მეხუთე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ვეშაგური) თესვის გეგმა 340 პროცენტით შეასრულა.

დუშეთის მტს-ის დირექტორი
**მაჭკეპლიძე.**
პოლიტგანყოფილების უფროსი
**ჟანჩაველი.**

**თბილისის** მტს-მა 1 მაისისათვის 116,4 პროცენტით შეასრულა საგაზაფხულო ხვნა-თესვის გეგმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.867 ჰექტარისა მოხნულია 2.174,2 ჰექტარი.

თბილისის მტს-ის დირექტორი
**გერგაული.**
პოლიტგანყოფილების უფროსი
**ჩარკვიანი.**

* * *

**ხაშური.** ხაშურის მტს-მა 1 მაისისათვის ნახევარი წლის სამუშაო გეგმა 108 პროცენტით შეასრულა. პირობით ხვნაზე გადაყვანით მოხნულია 4.242 ჰექტარი.

მტს-ის დირექტორი **ქველაძე.**
პოლიტგანყოფილების უფროსი
**აბრამაშვილი.**

* * *

**ჩხარი.** რაიონმა შეასრულა სიმინდის თესვის გეგმა. სიმინდი დათესილია 7.027 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.000 ჰექტარისა.

ვაზი დამყნილია 1.585.000 ძირი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.485.000 ძირისა.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის მდივანი
**ბაქრაძე.**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
**ისაკაძე.**

* * *

**თელეთი** (თბილისის რაიონი). მტს-მა საგაზაფხულო თესვის გეგმა ვადამდე შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 1.000 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 1.019 ჰექტარი.

თელეთის მტს-ის დირექტორი
**ბაზიარი.**
პოლიტგანყოფილების უფროსი **გოგუა.**

## მაღაროელთა საერთაშორისო კონფერენცია ლონდონში

**ლონდონი,** 4 მაისი (საკდესი). 1 მაისს ლონდონში შესდგა მაღაროელთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც სხვებთან ერთად დაესწრო აგრეთვე 44 დელეგატი კონტინენტიდან, მათ შორის გერმანიიდან, ავსტრიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ლუქსემბურგიდან, ბელგიიდან და პოლონეთიდან.

კონფერენციაზე წაიკითხეს საბჭოთა მაღაროელების დეპეშა, რომელშიც გამოთქმულია იმედი, რომ დიდი ბრიტანეთის მაღაროელთა ფედერაცია ყოველ შესაძლებელს გააკეთებს, რათა კიდევ უფრო გააძლიეროს საერთაშორისო ძმური სოლიდარობა სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მუშებს შორის.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოსთქვა დიდი ბრიტანეთის მაღაროელთა ფედერაციის თავმჯდომარემ ლაუტერმა, რომელმაც ილაპარაკა ქვანახშირის ამოღების გადიდების საჭიროებაზე. მან მოუწოდა მაღაროელებს მიჰბაძონ საბჭოთა მეშახტეებს, რომლებმაც „ისეთი მამაცობა გამოიჩინეს, რომ ვერავითარი სიტყვით ვერ აიწერება".

რურის მეშახტეთა წარმომადგენელმა თავის სიტყვაში კონფერენციას უამბო არალეგალური ანტიფაშისტური ბრძოლის შესახებ, რასაც გერმანიაში ეწევიან.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას მეშახტეთა დროებითი საერთაშორისო ფედერაცია, რომლის ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ფაშიზმის განადგურებას. კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე იბრძოლოს იმისათვის, რომ გადიდებულ იქნას ქვანახშირის ამოღება მოკავშირე ქვეყნებში და შემცირებულ იქნას მოწინააღმდეგის ქვეყნებში.

## სოციალური პროგრესი დამოკიდებულია თავისუფალ ხალხთა გამარჯვებაზე

### ინგლისის შრომის ნაციონალური საბჭოს საპირველმაისო მიმართვა

**ლონდონი,** (საკდესი). ინგლისის შრომის ნაციონალურმა საბჭომ გამოაქვეყნა საპირველმაისო მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის მუშები 1 მაისს ძმურ სალამს უძღვნიან ბრიტანეთის იმპერიის, ინდოეთის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და სხვა მოკავშირე ქვეყნების ხალხებს, რომლებიც გაერთიანებული არიან ჰიტლერიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ წარმოებულ დიად ბრძოლაში.

„სოციალური პროგრესის ყოველგვარი შესაძლებლობა,—ნათქვამია მიმართვაში, — დამოკიდებულია თავისუფალი ხალხების გამარჯვებაზე".

დასასრულ მიმართვა შეიცავს მოწოდებას გერმანელი და იტალიელი მუშებისადმი შეუერთდნენ იმ ღონისძიებებს, რაც მიმართულია დიქტატურების დამხობისაკენ, რომლებმაც ისინი დაიმონეს და მსოფლიოს ყველა ხალხის დამონებას ცდილობენ.

## ვიბრძოლოთ საერთო მტერზე გამარჯვებისათვის

### ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირთა საპირველმაისო მოწოდება

**ნიუ-იორკი,** (საკდესი). ნიუ-იორკის იმ პროფკავშირული ორგანიზაციების 51 წარმომადგენელმა, რომლებიც ამერიკის შრომის ფედერაციისა და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შედიან, გამოაქვეყნა საპირველმაისო მიმართვა. ამ მიმართვაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მშრომელები „ბრწყინვალედ იცავენ თავის ქვეყანას ჰიტლერის გერმანიის მთელი ძლიერების წინააღმდეგ". პროფკავშირები მოუწოდებენ იბრძოლონ იმისათვის, რომ მოპოვებულ იქნას მტერზე გამარჯვება დასავლეთის ფრონტზე 1942 წელს, ამასთან ვალდებულებას კისრულობენ მაქსიმალურად გაადიდონ პროდუქციის გამოშვება და საომარი მასალის მიწოდება ფრონტისათვის.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, წელს ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა პროგრესიულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გააუქმეს ტრადიციული საპირველმაისო დემონსტრაციები და პარადები. მათ მუშებს მოუწოდეს არ შესწყვიტონ წარმოებაში მუშაობა 1 მაისს და ამ დღის განმავლობაში გამომუშავებული თანხა სამხედრო სესხის ობლიგაციების შესაყიდისა და ომისაგან დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის ფონდში შეიტანონ.

## ინგლისელი მუშების საპირველმაისო მისალმება სსრ კავშირის მუშებისადმი

**ლონდონი,** 4 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 300 ათასზე მეტმა მუშამ, რომლებიც სამხედრო მომარაგების სამინისტროს 40 საარტილერიო ქარხანაში მუშაობენ, საპირველმაისო მისალმებანი გამოუგზავნა საბჭოთა სამხედრო ქარხნების მუშებს.

## დე გოლის მიმართვა ფრანგი ხალხისადმი

**ლონდონი,** (საკდესი). გენერალმა დე გოლმა რადიოთი წარმოთქმული სიტყვით მიმართა ფრანგ ხალხს და განაცხადა, რომ პირველ მაისს ფრანგი პატრიოტები უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. შიმშილის, სილატაკის, სხვადასხვა გაჭირვებისა და მტრის პროპაგანდის მიუხედავად, ფრანგების მებრძოლი სული გატეხილი არ არის. ისინი მედგრად ებრძვიან გერმანელ ოკუპანტებს და მზად არიან ყოველგვარი მსხვერპლი გაიღონ და ყოველგვარი ტანჯვა აიტანონ, რათა უზრუნველჰყონ საბოლოო გამარჯვება.

## ამერიკის ორგანიზაციის—„ომთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის დახმარების კომიტეტის" საქმიანობა

**ნიუ-იორკი,** 4 მაისი (საკდესი). „ომთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის დახმარების კომიტეტმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ კომპანია „იუნაიტედ სტეიტს სტილმა" 75 ათასი დოლარი შესწირა სსრ კავშირის დახმარების ფონდს. იუწყებიან აგრეთვე, რომ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ლემანი და ქალაქ ნიუ-იორკის მერი ლა გარდია დათანხმდნენ იყვნენ საბჭოთა კავშირის დახმარების ფონდისათვის 6 მილიონი დოლარის შეგროვების კამპანიის საპატიო ხელმძღვანელები. ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორი დათანხმდა იყოს ადგილობრივი კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე. საბჭოთა კავშირის დახმარების ფონდისათვის სახსრების შეგროვების კამპანიის ხელმძღვანელად არჩეულია კომპანია „ჯენერალ ელექტრიკის" დირექტორი იუნგი.

## თეთრი სახლის განცხადება ირანისა და ერაყისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ

**ვაშინგტონი,** 4 მაისი (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ ირანისა და ერაყის მდგომარეობა არსებით როლს ასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვაში. ამიტომ სასურველია გაეწიოს ამ ქვეყნებს დახმარება საჭურვლის იჯარით ან სესხად გადაცემის კანონის საფუძველზე.

## რაჯაგოპალაჩარიას გასვლა ნაციონალური კონგრესის აღმასკომიდან

**ლონდონი,** (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, მადრასის პროვინციის საკანონმდებლო კრების კონგრესის ფრაქციამ 24 აპრილს ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც კონგრესის აღმასკომს ურჩია დაეთანხმოს მუსლიმანთა ლიგის მოთხოვნას ინდოეთის გაყოფისა და მუსლიმანთა ცალკე სახელმწიფოს შექმნის შესახებ. რეზოლუცია აგრეთვე ურჩევდა კონგრესის აღმასკომს მოეწვია მუსლიმანთა ლიგის წარმომადგენლები კონსულტაციისათვის, რომლის პროცესშიც შეიძლებოდა შეთანხმების მიღწევა ახლანდელ პირობებში ნაციონალური მთავრობის შექმნის შესახებ.

ეს რეზოლუცია ინდოეთის ნაციონალური კონგრესის აღმასკომის წევრებს წარუდგინა მადრასის მთავრობის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რაჯაგოპალაჩარიამ.

კონგრესის თავმჯდომარემ ყალამ აზადმა სპეციალური განცხადებით დაგმო რაჯაგოპალაჩარიას პოზიცია და აღნიშნა, რომ ერთადერთ ორგანიზაციას, რომელსაც კონგრესის პროვინციული ორგანიზაციის სახელით გამოსვლა შეუძლია, წარმოადგენს კონგრესის პროვინციული აღმასრულებელი კომიტეტი და არა კონგრესისტული ფრაქცია პროვინციულ საკანონმდებლო პალატაში.

რეიტერის სააგენტოს განცხადებით, რაჯაგოპალაჩარიამ აღიარა, რომ მან შეცდომა დაუშვა, როდესაც აზადისა და კონგრესის აღმასკომის სხვა წევრების დაუკითხავად წარადგინა რეზოლუცია, რომელიც შემდეგ მადრასის საკანონმდებლო პალატის კონგრესის ფრაქციამ მოიწონა. რაჯაგოპალაჩარიამ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ, რომელიც კონგრესის თავმჯდომარემ აზადმა დააკმაყოფილა.

## გერმანელ ხალხში იზრდება სიძულვილი ჰიტლერელებისადმი

### ჰიტლერული გაზეთის აღიარება

**სტოკჰოლმი,** 4 მაისი (საკდესი). ჰიმლერის გაზეთმა „დას შვარცე კორპსმა" 30 აპრილს მოათავსა სტატია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად შეშფოთებული არიან ახლანდელი გერმანიის მმართველნი გერმანელ ხალხში ზრდადი აღშფოთებით და სიძულვილით გერმანიის მმართველი პლუტოკრატების ხროვისადმი, რომლებიც ომის მეოხებით მდიდრდებიან და უმაგალითო კორუპციის ჭაობში არიან ჩაფლულნი. გაზეთი ისტერიულად მოსთქვამს იმის გამო, რომ გერმანელთა შორის „დღემდე" ცოცხლობს კლასობრივი ბრძოლის „აღმგზნები" ლოზუნგები.

„გერმანელები ძალიან იხრებიან იმ აზრისაკენ, — ნათქვამია სტატიაში, — რომ ადამიანები, რომლებსაც მაღალი პოსტები უჭირავთ და ბევრ ფულს აკეთებენ, განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობენ. ვერ უარვყოფთ, რომ მაღალი თანამდებობის და შეძლებულ პირებს სუფში ზოგჯერ ისეთი რამ მოეპოვებათ, რაც მათ არ ეკუთვნით".

გაზეთი ხალხს „წვრილფეხობას" ან „წვრილმან ადამიანებს" უწოდებს და აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ „წვრილმანი ადამიანები" მხოლოდ დიდ ადამიანებს ადევნებენ თვალს. ისინი ჯერ კიდევ შეუგნებელ კლასობრივ მებრძოლებად დარჩნენ რარიგ ესიამოვნებათ მათ ეჭვი შეიტანონ მაღალი თანამდებობის ადამიანებზე, მოხელეებზე, ჰიტლერის პარტიის წევრებზე, საწარმოთა ხელმძღვანელებზე, გაავრცელონ მათ შესახებ ბოროტი ხმები".

„წვრილფეხობის" განწყობილების საილუსტრაციოდ გაზეთს მოჰყავს ვიღაც „ბიბერახელ ბიძა კარლის" წერილი თავისი ძმისწულისადმი — აფრიკის ფრონტზე მყოფი გერმანელი ჯარისკაცისადმი. წერილში ნათქვამია:

„აფრიკაში ომი ძალიან გაჭიანურდა. საეჭვოა, რომ გერმანელებმა ფრონტი შეინარჩუნონ. ინგლისელებმა ბატონობას მიაღწიეს ხმელთაშუა ზღვაში. საერთოდ, ყველაფერი სულ სხვანაირად გამოიყურება, და არა ისე, როგორც ხალხს ეუბნებიან. საერთო მდგომარეობა გამარჯვებას არ გვიქადის. გამარჯვება იმას ხვდება, ვისაც მეტი ეკონომიური რესურსები მოეპოვება. გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა მეტად ცუდია. ჩვენში ცუდი განწყობილებაა, ბევრ რამეს გვიმალავენ, რაც ომში ხდება. საერთოდ ხელისუფალნი სიმართლეს არ ეუბნებიან ხალხს. ასეთია ზოგადად საქმის ვითარება სამშობლოში".

„დას შვარცე კორპსი" მოუწოდებს ალაგმონ ამ წერილის ავტორის მსგავსი ადამიანები. „ასეთ ადამიანებზე, — სწერს გაზეთი. — მხოლოდ ერთი საბუთი მოქმედებს — მათ სახეში უნდა ჩაჰკრა".

## „ფიქრები პესიმიზმით არის გამსჭვალული"

### ფინელ ფაშისტთა გაზეთების სასოწარკვეთილი კილო

**სტოკჰოლმი,** 4 მაისი (საკდესი). ფინეთის გაზეთების საპირველმაისო ნომრებში მოთავსებული სტატიები ფინეთის უსიხარულო და განსაკუთრებით მძიმე ვითარებას გამოხატავენ. „ფინეთის მუშათა კლასი, — აცხადებს მოწინავე სტატიაში გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრაატი", — წინათ არასოდეს არ შეხვედრია 1 მაისს ისეთი სასოწარკვეთილების განწყობილებით, როგორითაც ახლა ხვდება. ნაღვლიანად იგონებენ დაღუპულთ და შიშით ფიქრობენ იმათზე, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალი გადარჩენილა და ყოველ წამს შეიძლება იმსხვერპლოს ომმა. საერთოდ ფიქრები პესიმიზმით არის გამსჭვალული. ომის გაგრძელება მდგომარეობის გაუმჯობესების იმედს არ იძლევა. ამიტომ ძნელად შეხვდებით სადღესასწაულო განწყობილებას. ფინელ მუშებს სულითა და გულით სწყურიათ მშვიდობიანობა".

გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი" მოსახლეობას მოუწოდებს კვლავ გაიღოს მსხვერპლი.

გაზეთმა—„უუსი სუომიმ" გამოაქვეყნა ფინეთის მთავრობის ცნობა, რომ კვლავ გადიდებულია სამუშაო დღე, თუმცა მისი ხანგრძლივობა ისედაც სულ ცოტა 12 საათს შეადგენდა.

## გერმანიის თვითმფრინავის გაფრენა შვეციის ტერიტორიაზე

**სტოკჰოლმი,** 3 მაისი (საკდესი). როგორც შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 30 აპრილს, დილით, შვეციის საზენიტო არტილერიამ სროლა აუტეხა გერმანიის თვითმფრინავს, რომელიც შვეციის ტერიტორიაზე შეფრინდა სკონის სამხრეთ ნაპირთან. გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ თვითმფრინავი აღმოსავლეთის მიმართულებით მიიმალა.

## ანტიგერმანული წარწერები სოფიის სახლების კედლებზე

**ჟენევა,** 4 მაისი (საკდესი). სასტიკი პოლიციური ზომების მიუხედავად, 1 მაისს სოფიის სახლების კედლებზე გაჩნდა მრავალი ანტიგერმანული წარწერა, მაგალითად: „პირველი მაისი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლის დღეა", „ძირს პირსისხლიანი ჰიტლერი და მისი ბულგარელი დამქაშები!", „გავაძევოთ გერმანელები ბულგარეთიდან!", „დავეხმაროთ ჩვენს ძმებს ფაშისტური ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში!", „გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!"

## ფრანგი მუშების საპირველმაისო მიმართვა

**ლონდონი,** (საკდესი). თავისუფალ ფრანგთა მოძრაობის მოღვაწეებმა საფრანგეთიდან მიიღეს ჰიტლერის უღელქვეშ მყოფი ფრანგი მუშების საპირველმაისო მიმართვა. ამ მიმართვაში, რომელიც გაგზავნილია საბჭოთა, ინგლისელ და ამერიკელ მუშებისადმი, ნათქვამია: „ამხანაგებო, გთხოვთ შეინარჩუნოთ თქვენი რწმენა ჩვენდამი. ჩვენ საფრანგეთის გამცემელთა თანამონაწილეები არა ვართ. გერმანია აშკარა ძალადობის საშუალებით ან შიმშილის მუქარით გვაიძულებს ზოგიერთ ჩვენგანს მისთვის ვიმუშაოთ. ჩვენ თქვენზე ვამყარებთ ჩვენს იმედებს, ამხანაგებო, თქვენზე, რომელნიც გამარჯვებისათვის საჭირო თვითმფრინავებს, ტანკებსა და გემებს ამზადებთ. ჩვენ მზადა ვართ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა დაგეხმაროთ მოწინააღმდეგის მრეწველობის მუშაობისათვის ხელის შეშლაში. მივესალმებით გერმანიისათვის მომუშავე საწარმოთა დაბომბვას. ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ომშია ჩაბმული. ფრანგი ხალხის წარმომადგენელი გენერალი დე გოლი მოკავშირეებთან ხელიხელ ჩაკიდებული იბრძვის. იმის მიუხედავად, რომ მისი არმია ჯერ კიდევ დიდი არ არის, მის ზურგში დიდი შებოჭილი ძალები დგას საფრანგეთში. მოწინააღმდეგე ვერ შესძლებს სამუდამოდ ჯაჭვით შებოჭილი იყოლიოს ეს ძალები.

ამხანაგებო, პირველი მაისის ამ დღეს, რომელიც ჩვენთვის და თქვენთვის სავსეა სხვადასხვა მოგონებებით, ჩვენი გული თქვენს გულთან ერთად სძგერს. უფრო ხშირად იფიქრეთ ჩვენზე და გახსოვდეთ, რომ თქვენ მუშაობთ საფრთხეში მყოფი ამხანაგებისათვის, როგორც მეშახტეები, რომელნიც გზას ჰკაფავენ ზვავში მოყოლილი თავიანთი ამხანაგების გასათავისუფლებლად".

## გერმანელთა ჯარებისა და რუეს მოსახლეობის შეტაკება

**ნიუ-იორკი,** (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ რუეში (ჩრდილო-დასავლეთი საფრანგეთი) შეტაკება მოხდა გერმანიის ჯარებსა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის. მოსახლეობაში არის მსხვერპლი.

## რუეში მომხდარი ამბების გამო

**ნიუ-იორკი,** 3 მაისი (საკდესი). უკანასკნელი ცნობების თანახმად, იმ შეტაკების დროს, რომელიც რუეში (ჩრდილოეთ-დასავლეთი საფრანგეთი) გერმანიის ჯარებსა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის მოხდა, მოკლულია 50 გერმანელი. გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მიიღო რეპრესიული ზომები, წაყვანილია ბევრი მძევალი.

## ფრანგი ოფიცრების დახვრეტა გენერალ ჟიროს გაქცევასთან დაკავშირებით

**სტოკჰოლმი,** (საკდესი). სტოკჰოლმში მიღებული ცნობების თანახმად ამას წინათ ქალაქ დრეზდენში ბერლინიდან ჩავიდა კომისია. ამ კომისიას ჰიმლერისაგან მიღებული აქვს სპეციალური დავალება ადგილობრივ მოახდინოს ყველა იმ გარემოების სასწრაფო გამოძიება, რომელიც დაკავშირებულია ფრანგი გენერლის ჟიროს გაქცევასთან, და სამაგალითოდ დასაჯოს ის პირნი, ვინც ჟიროს გაქცევა დაუშვა.

ჟიროს გაქცევასთან დაკავშირებით, საფრანგეთის სამხედრო ტყვეების ბანაკებში უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში დიდძალი ხალხი დააპატიმრეს, განსაკუთრებით ოფიცერთა შემადგენლობიდან. ბერლინიდან მიღებული განკარგულების თანახმად, გუშინ დახვრიტეს 30 ფრანგი ოფიცერი, რომლებზეც ეჭვი მიიტანეს, რომ ჟიროსთან კავშირურთიერთობა ჰქონდათ და ანტიგერმანულ საქმიანობას ეწეოდნენ.

## ინგლისზე მომხდარი საჰაერო თავდასხმების მსხვერპლნი

**ლონდონი,** 1 მაისი (საკდესი). ინგლისის შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრმა ჰერბერტ მორისონმა თემთა პალატაში მიცემული შეკითხვის პასუხად განაცხადა, რომ ინგლისზე ღამით მომხდარი საჰაერო თავდასხმების შედეგად ერთი წლის განმავლობაში 1941 წლის 1 აპრილიდან 1942 წლის 1 აპრილამდე მოკლულია 208 კაცი.

## ლექციები და მოხსენებები

**7 მაისს, საღამოს 8 საათზე,** საქ. სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სახ. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შენობაში (ჯავახიშვილის ქ. № 1) პროფ. **შ. ნუცუბიძე** წაიკითხავს მოხსენებას: **„ქართული რენესანსის ძეგლები. იოანე შავთელი"** (რუსული თარგმანის წაკითხვით).

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

**7 მაისს, საღამოს 8-ნახევარ საათზე,** სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარის ქ. № 1) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტის შესახებ".**

ბილეთების მიღება შეიძლება ორჯონიკიძის რაიაგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 11).

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი** წინადადებას აძლევს მოქ. იასონ დიმიტრის-ძე ბართაიას, ივანე ლუარსაბის-ძე არჩვაძეს, ჰასან უზოს-ძე არაბოვს, ზინაიდა იოსების-ასულ ლოდუშაურს, სარქის ისაკის-ძე ლარიბოვს და თედორე დავითის-ძე ხომასურიძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში (ოთახი № 12).

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის სახელობის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1529728, გაცემული დავით მიხეილის-ძე **ჩალაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის სახელობის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1539680, გაცემული მარიამ სოფრომის-ასულ **მირიჯანაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომი** აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 3084906, გაცემული გიორგი ილიას-ძე **ქურხულის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## დღეს კინოებში

**რუსთაველის სახ.** და **სპარტაკი** — „ცარიცინის დაცვა". **ოქტომბერი** — „ბელა", **დამკვრელი** — „დუბროვსკი", **კომკავშირელი** — „მასკარადი", **ლუქსემბურგის სახ.** — „მესაზღვრეები", **26 კომ. სახ.** და **კომინტერნი** — „ზღვის ქორი".

საქკონსერვხილტრესტის ადგილკომი იუწყება იასე ზალდასტანიშვილის ძმის

**შოთა ნიკოლოზის-ძე ზალდასტანიშვილის**

გარდაცვალებას.

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული საგეგმო კომისიის თანამშრომლები და ადგილკომი იუწყებიან ვალიდა გორგოშიძის მამის

**მოსე გორგოშიძის**

გარდაცვალებას. 549

„თბილრაიტრანსტორგპიტის" კოლექტივი იუწყება

**ონოფრე პლატონის-ძე მგალობლიშვილის**

გარდაცვალებას. 550

## გროსმაისტერი ს. ფლორი თბილისში

2 მაისს ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ჭადრაკში გროსმაისტერი სალო ფლორი.

სალო ფლორი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტია. იგი დაიბადა 1909 წელს ქ. გოროდენკაში (პოლონეთი). ახალგაზრდა ფლორმა თავიდანვე მიიქცია ყურადღება, როგორც ძლიერმა და თვალსაჩინო მომავლის მქონე მოჭადრაკემ. 1931 წლიდან ფლორი თავს ანებებს ძირითად პროფესიას — ჟურნალისტობას და ხდება პროფესიული მოჭადრაკე.

შემდეგ წლებში მთელი ძალით გაიშალა ფლორის დიდი ტალანტი. 1935 წელს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში ფლორმა I-II ადგილები გაიყო მ. ბოტვინიკთან ერთად; 1936 წ. პოდებრადის საერთაშორისო ტურნირში უკან მოიტოვა მსოფლიოს ჩემპიონი ალიოხინი და პირველი ადგილი დაიკავა; ბრწყინვალე გამარჯვებებით დამთავრდა აგრეთვე ფლორის გამოსვლები კემერის საერთაშორისო (1937 წ.) და მოსკოვ-ლენინგრადის ტურნირებში.

ფლორი პოზიციური ყაიდის მოჭადრაკეა. მის თამაშს ახასიათებს ღრმა ანალიზი და უმაღლესი ტექნიკა. იგი გათამაშებულ პარტიების შესანიშნავი კომენტატორია. საჭადრაკო დარგში მომუშავე ჟურნალისტებს შორის კი მას ბადალი არა ჰყავს.

ს. ფლორი ღრმად განიცდის ფაშისტების ჩექმებით გათელილი თავისი სამშობლოს — ჩეხოსლოვაკიის ტრაგედიას. ამას წინათ ჟურნ. „ოგონიოკში" დაბეჭდილ წერილში ფლორი სწერდა: „ჰიტლერისათვის ჩეხოსლოვაკია გემრიელი ლუკმაა. მაგრამ ამ ლუკმას იგი ვერ მოინელებს. მოსყიდული ფაშისტი მწერლები სწერდნენ, თითქოს ჩეხი ხალხი კმაყოფილებით შეხვდა გერმანიის თავდასხმას სსრ კავშირზე. საზიზღარი სიცრუეა! პირიქით, ჩეხოსლოვაკები სსრ კავშირის ხალხების მიმართ უგულითადესი გრძნობებით არიან აღსავსენი. მე კარგად მახსოვს, თუ რა ძნელი იყო 1938 წელს იმ კინოში მოხვედრა, სადაც საბჭოთა კინოფილმებს უჩვენებდნენ. ხალხი აღტაცებით უკრავდა ტაშს საბჭოთა ტანკებსა და თვითმფრინავებს, ხოლო ტაში ოვაციაში გადადიოდა, როცა ეკრანზე სტალინი და ვოროშილოვი გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ადვილი მისახვედრია, თუ რას განიცდიან ჩეხები ახლა, როცა უძლეველი წითელი არმია წარმატებით ებრძვის ფაშისტებს და ამით აახლოვებს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებას.

მსოფლიო ისტორიაში უბილწესი მოვლენა —სისხლიანი ჰიტლერიზმი ახლა თავის სამარცხვინო დასასრულს უახლოვდება".

* * *

3 მაისს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში შესდგა გროსმაისტერ ს. ფლორის პირველი გამოსვლა. გროსმაისტერმა ლექცია—„საჭადრაკო შეჯიბრებათა ისტორია" — შემდეგ ნორჩ მოჭადრაკეებთან 41 დაფაზე ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი. ფლორმა 31 პარტია მოიგო, 9 ფრედ დაამთავრა, ხოლო 1 წააგო. გროსმაისტერს მოუგო თბილისის მე-43 სკოლის მე-2 კლასის მოსწავლემ 9 წლის გ. არნშტეინმა.

## პროფესორ ე. ა. ვრონსკის ხსოვნას

30 აპრილს, ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, პროფესორი ე. ა. ვრონსკი. გარდაიცვალა ერთ-ერთი უდიდესი პედაგოგი-ვოკალისტი, საოპერო სცენის გამოჩენილი ოსტატი, დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი.

მთელი თავისი სიცოცხლე ე. ა. ვრონსკიმ მოახმარა ხელოვნებას, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა. ე. ა. ვრონსკიმ ვოკალური განათლება იტალიაში (მილანი) მიიღო და 1909 წლიდან დაიწყო თავისი არტისტული მოღვაწეობა მოსკოვის სერგიევის სახალხო სახლის სცენაზე. შემდეგ იგი უცვლელი წარმატებით ასრულებდა ლირიულ-დრამატული ბარიტონის პირველ პარტიებს ოდესაში, რიგაში, ლენინგრადში, თბილისში, ბაქოში და რუსეთის სხვა საუკეთესო საოპერო თეატრებში. თბილისელებს კარგად ახსოვთ მის მიერ სცენაზე განსახიერებული ონეგინი, სკარპია, ტორეადორი და მკვეთრად დახასიათებული, მხატვრულად დასრულებული სხვა სახეები.

1925 წლიდან იწყება ე. ა. ვრონსკის განსაკუთრებით ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა. თბილისის კონსერვატორიაში 17 წლის მუშაობის განმავლობაში მან აღზარდა მთელი პლეადა საოპერო სცენის გამოჩენილი არტისტებისა.

ფართო პედაგოგიურ პრაქტიკას ე. ა. ვრონსკი ათავსებდა გაღრმავებულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან. 1930 წლიდან იგი ითვლებოდა მოსკოვის მუსიკალური მეცნიერების სახელმწიფო ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად. მის კალამს ეკუთვნის ათზე მეტი მეცნიერული ნაშრომი ვოკალური სწავლების მეთოდიკის ისტორიიდან და თეორიიდან, შემსრულებლობიდან, მღერის პროცესის ფიზიოლოგიიდან და სხვ.

დაუღალავი მუშაკის, საუკეთესო ამხანაგისა და მეგობრის ე. ა. ვრონსკის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მოწაფეებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტები: **დ. ანდღულაძე, დ. არაყიშვილი, ხ. ინაშვილი, ო. შულგინა;** ხელოვნების დამს. მოღვაწეები: **გ. კილაძე, ვ. გოკიელი, შ. მშველიძე, შ. თაქთაქიშვილი;** რესპუბლიკის დამს. არტისტები: **დ. გამრეკელი, ნ. ხარაძე.**

**დ. ბადრიძე, ა. ხმალაძე, გ. თაქთაქიშვილი, ვ. ხამაშურიძე, გ. ლომიძე, ბ. კრავეიშვილი, პ. ხუჭუა.**

## თეატრებში

**სახოპერა** — 6 მაისს — „ევგენი ონეგინი", 7 მაისს — „პიკის ქალი". **რუსთაველის სახელობის** — 6 მაისს — „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", 7 მაისს — „კიკვიძე". **მარჯანიშვილის სახელობის** — 6 მაისს — „ხანუმა", 7 მაისს — „მეფე ერეკლე". **მუსიკალური კომედიის** — 6 მაისს — „ცისფერი კლდეები", 7 მაისს — „ხაჯარათი". **სანკულტურის** — 7 მაისს — „აჯილდა", 9 მაისს — „გმირი"

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სსრ ჯანსახკომის კომუნალური ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყება

**გიორგი (ჟორა) ივანეს-ძე მაჩაიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/V, 8 ს. გამოსვენება 7/V, 6 ს. პლეხანოვისა და ჩერნიშევის 25/5. 552

საქ. ფილარმონიის დირექცია და მსახიობები იუწყებიან დების იშხნელების დედის

**ვასასი კონსტანტინეს-ასულ იშხნელის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/V, 8 ს. გამოსვენება 7/V, 6 ს. ორბელიანის ქ. № 5. 551

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 5901